განცხადება

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის–**თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის**–სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანლის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის (არჩევის ვადა 10 წელი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-4 მუხლით,ვაკანსიის შესაბამისად.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანე- ლის თანამდებობის დასაკავებლად:

ა) **სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიისგანყოფილების** ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა–მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული, 10 წლის ვადით) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული, 7 წლის ვადით) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

4. კანდიდატი უნდაა კმაყოფილებდეს:

4.1.მთავარი მეცნიერი თანამშრომლის (არჩევის ვადა - 10 წელი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით. (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით. (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

4.2. კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) ან წარმომადგენლობით აკადემიურ ორგანოშიმუშაობის გამოცდილება.

5. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი –WORDდა PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების ან წარმომადგენლობითი აკადემიური ორგანოს წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) განყოფილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 22 მაისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2025 წლის 23 ივნისიდან 2025 წლის 27 ივნისის ჩათვლით, 11:00-დან 18:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, გერონტი ქიქოძის №3, მე-2 სართული, კანცელარია. საკონტაქტო ტელეფონი 2-98 32 45.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2025 წლის 3 ივლისისა.

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 წლის ვადით, ხოლო უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით.